მოსკოვი (“სტალინელი”) - თბილისი (“დინამო”)

30 მაისს “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე. თამაშობდნენ ტფილისის “დინამო” და მოსკოვის “სტალინელი” (ყოფ. “ელექტროზავოდი”), რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ითვლება. თამაშის პირველ წუთებში უპირატესობა ტფილისის მხარეზეა. ბურთი ხშირად უახლოვდება მოსკოველების კარებს. ხანდახან სახიფათო მომენტებიც იქმნება, მაგრამ სტუმრების მცველები და მეკარე კარგად იგერიებენ იერიშებს. შემდეგ უპირატესობა სტუმრების მხარეზეა. ისინი გრძელი და დაბალი “პასით” (გადაცემებით) თამაშობენ - ამის შედეგია სწრაფი ტემპი და მოფიქრებული კომბინაციები. მეკარე დოროხოვი (თბილისი) რამდენიმე ძნელ ბურთს იჭერს. თამაშის დამთავრებამცე ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ შედეგს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია.

მეორე ტაიმი მწვავე ბრძოლით იწყება: ორივე მხარე გადამწყვეტი უპირატესობისათვის იბრძვის. ბურთი ტფილისელებს მოაქვთ, მოსკოვის მეკარემ ლამაზი ნახტომით ბურთი ჰაერში დაიჭირა, მაგრამ თავდამსხმელის დატაკების გამო ხელიდან გაუვარდა ის. ბურთი ღია კარებისაკენ მიგორავს. ერთი წამი და... მარცხენა მცველმა ელვის სისწრაფით მოიგერია “მკვდარი” ბურთი. თავის მხრივ არც მოსკოველები რჩებიან ვალში: საპასუხო შეტევისას ბურთი ტფილისის საჯარიმო მოედანზეა, მარჯვნიდან დარტყმული “შუტი” შესანიშნავად მოიგერია დოროხოვმა; მარცხენა მხარეს გაგორებულ ბურთთან ნამდვილი “ომია”. ბურთი კარიდან ერთ მეტრზეა დაცილებული, თითქოს ხსნა არაა, მაგრამ შავგულიძის ძლიერმა დარტყმამ მდგომარეობა გამოასწორა.

თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლია. ყველა დარწმუნებულია, რომ გუნდები მოედანს უშედეგოდ დატოვებენ. ყველა შეცდა: მოსკოველები დაჯარიმდნენ, ბურთი ასლამაზოვმა (ტფილისი) მიიღო და თავით მოსკოველების კარისაკენ გაგზავნა - ბურთი ბადეშია. მოსკოველები დამარცხდნენ. ასეთია საერთო აზრი - მაგრამ... მოსკოვის თავდამსხმელები მონდომებით ეკვეთნენ ტფილისელებს და ცენტრიდან წაღებული ბურთი ძლიერი დარტყმით ტფილისის კარის მარჯვენა კუთხეს არღვევს. ნახევარი წუთის შემდეგ თამაში დამთავრდა ანგარიშით 1:1.

“მუშა”, 2 ივნისი, 1936 წ.